ბ ო რ ჯ ო მ ი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

23 იანვარი
ხუთშაბათი
2025 წელი
№3 (9369)
ფასი 40 თეთრი

დონალდ ტრამპის პრეზიდენტად არჩევა ფორად მოვლის ფოლვასა



20 იანვარს აშშ-ს ამომრჩეველმა თავისი ქვეყნის 47-ე პრეზიდენტს აირჩია. ამჯერად, ბატონი დონალდ ტრამპი ამერიკელებმა მეორედ დაასახელეს პრეზიდენტობის კანდიდატად. პირველად ამ ოთხი წლის წინათ იყო არჩეული.

დონალდ ტრამპი ბაიდენისგან განსხვავებით ბევრად პროგრესულად მოაზროვნე ადამიანია. პრეზიდენტის პრეზენტაციამდე ამერიკელებს და მსოფლიოს საზოგადოებას მრავალი დამაიმედებელი პროექტი და პროგრამა შესთავაზა. მათ შორის:

აღსანიშნავია რუსეთ-უკრაინის ომის შეწყვეტა და საერთოდ მსოფლიოს მესამე ომის დამთავრებას გაუსვა ხაზი. მისივე პროგრამით აპირებს ამერიკის ეკონომიკის აღორძინებას. ამ მხრივ გადაწყვეტილი აქვს ჩინეთთან სავაჭრო პროექტების გადახედვას, მსოფლიოს მასშტაბით ლოკალური ომების შეწყვეტას და ეკონომიკური კრიზისის დარეგულირებას და ა.შ.

აშშ-ს პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა უპასუხა ჟურნალისტის კითხვას,

თუ რამდენი ხანი დასჭირდება უკრაინაში ომის დამთავრებას?

- "პრეზიდენტ პუტინს უნდა დაველაპარაკო, გულანთებული ვერ იქნება, კარგად არ აქვს საქმე. ის ნელა და დამღლელად ომობს. ადამიანებს მეტწილად ეგონათ, რომ ომი ერთ კვირაში დამთავრდებოდა და ახლა მესამე წელია. შეუძლებელია, აღფრთოვანებული იყოს, ეს მას კარგად არ წარმოაჩენს. ბოლოს და ბოლოს, ეს დიდი მანქანაა და რაღაცები მოხდება, მაგრამ ვფიქრობ, ის უკეთ იქნება, თუ ამ ომს დაამთავრებს. **ერთი სიტყვით ამერიკის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მსოფლიოს სახელმწიფოებისათვის, მათ შორის ევროპის ხალხებისათვის და კერძოდ საქართველოსათვის დიდი იმედი და შემოქმედია ანუ პროგრესული საზოგადოებისათვის ნამდვილად „მეორედ მოსვლაა", რადგან რასაც ტრამპი იტყვის ყველაფერი ისე იქნება.**

იმედის, ნატვრის ასრულება და მშვიდობა მისურვებია საქართველოს გაწამებული მოსახლეობისათვის.

საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ ყაველაშვილმა, 613 მსჯავრდებული შეიწყალა

საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ ყაველაშვილმა ნათლისღების დღესასწაულთან დაკავშირებით 613 მსჯავრდებული პირი შეიწყალა, - ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პრეზიდენტი სოციალურ ქსელში ავრცელებს.

- საქართველოს პრეზიდენტის მიერ მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული ექსკლუზიური უფლებამოსილების გამოყენება ეფუძნება ჰუმანიზმის პრინციპს და სახელმწიფო ინტერესს.

,,გამოჩენილი ჰუმანური დამოკიდებულებით, შეწყალებულ პირებს შესაძლებლობა მიეცათ, დაუბრუნდნენ ოჯახებს და კვლავ იქცნენ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად", - აღნიშნულია პრეზიდენტის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციაში.

პოლიტიკური საბჭოს განცხადება

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, რამდენიმე სახელმწიფომ დააწესა ფინანსური სანქციები და სავიზო შეზღუდვები ქართველი ხალხის მიერ არჩეული პოლიტიკოსებისა და ხელისუფლების მაღალი რანგის თანამდებობის პირების მიმართ. აღნიშნული გადაწყვეტილებები კიდევ ერთხელ უნდა შეფასდეს როგორც ანტიქართული ნაბიჯი, რომელიც ძირს უთხრის ქართული საზოგადოების ნდობას დასავლური ინსტიტუტების მიმართ.

უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო ღრმად აქვს ფესვები გადგმული გლობალურ ომის პარტიას სხვადასხვა ქვეყანაში და რაც უფრო ძლიერია ამა თუ იმ ქვეყანაში „დიფ სთეითის" მეტასტაზები, რომელიც გლობალური ომის პარტიის არაფორმალური გავლენის მთავარ ინსტრუმენტად გვევლინება, მით უფრო ანტიქართულია შესაბამისი ქვეყნის დამოკიდებულება ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის მიმართ.

უკლებლივ ყველა კონკრეტული პოლიტიკოსი და ბიუროკრატი, რომელიც ანტიქართული განცხადებებით გამოირჩევა, იქნება ეს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტარი, ევროპარლამენტარი, დიპლომატი თუ ჩინოვნიკი, არის **„დიფ სთეითის"** ქსელის წევრი, რომელიც არა ამერიკელი ან ევროპელი ხალხის ინტერესების მიხედვით, არამედ გლობალური ომის პარტიის კარნახით მოქმედებს.

ამერიკის არჩეული პრეზიდენტის გუნდი აკეთებს დამაიმედებელ განცხადებებს ამერიკულ ოფიციალურ სტრუქტურებში „დიფ სთეითის" განადგურების შესახებ. პრეზიდენტმა ტრამპმა ჯერ კიდევ არჩევნებამდე განაცხადა, რომ ან **„ამერიკა გაანადგურებს „დიფ სთეითს" ან „დიფ სთეითი" გაანადგურებს ამერიკას".** ფაქტია, რომ გასული 4 წლის განმავლობაში სწორედ „დიფ სთეითი" ანადგურებდა არა მხოლოდ ამერიკას, არამედ მსოფლიოს არაერთ ქვეყანას. „დიფ სთეითმა" შეუქმნა უმძიმესი ეკონომიკური პრობლემები ევროკავშირს. „დიფ სთეითმა" ომის ქარცეცხლში გახვია მსოფლიოს არაერთი სახელმწიფო. ყველაზე მძიმედ კი, „დიფ სთეითის" პატრონების გამანადგურებელი ეფექტი ჩვენს მეგობარ ქვეყანაზე - უკრაინაზე აისახა. უკრაინა, რომელსაც 2014 წლამდე ჰქონდა სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, მშვიდობა და თითქმის 200-მილიარდიანი ეკონომიკა, დღეს, პრაქტიკულად, განადგურებულია, რაზეც „მაიდანის" ავტორები არავითარ პასუხისმგებლობას არ იღებენ.

საქართველო უკრაინულ სცენარს დიდი ძალისხმევისა და უკომპრომისო ბრძოლის შედეგად ჯერჯერობით გადაურჩა, თუმცა, მშვიდობისათვის ბრძოლა გრძელდება და ეს ბრძოლა ბოლომდეა მისაყვანი. ვიდრე არსებობს უკრაინაში პირველი ფრონტი, საქართველოში მეორე ფრონტის ინტერესიც ყოველთვის იარსებებს. სწორედ ამას უკავშირდება სანქციები, რომელსაც გლობალური ომის პარტიის კარნახით და „დიფ სთეითის" ხელით, კონკრეტული სახელმწიფოები ქართველ პოლიტიკოსებსა და თანამდებების პირებს უწესებენ. ქართველმა ხალხმა ბოლომდე უნდა იბრძოლოს, რომ გადარჩეს და საქართველოს უკრაინიზაცია არ დაუშვას. ამით, ჩვენ კარგ საქმეს გავუკეთებთ ევროპასაც, რომლის ქვეყნების უმრავლესობა დღეს „დიფ სთეითის" თამაშს თამაშობს და საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვას ვერ ახერხებს.

ევროკავშირის ბიუროკრატიის ღირებულებითი მდგომარეობა დღეს უმძიმესია, რაც ევროპარლამენტის მიერ საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული ხუთი რეზოლუციით ყველაზე კარგად გამოიხატა. ამ რეზოლუციებით ევროპარლამენტმა მოითხოვა ბიძინა ივანიშვილის დასჯა, სააკაშვილისა და სხვა კრიმინალების გათავისუფლება, ლგბტ-პროპაგანდის წინააღმდეგ კანონის გაწვევა და ა.შ. ბოლო, მეხუთე რეზოლუციით ევროპარლამენტმა მოითხოვა ის, რის საჯაროდ მოთხოვნასაც, სერიოზულ მოთამაშეთაგან, მანამდე ვერავინ ბედავდა - რუსეთისთვის სანქციების დაწესება და ქართული ეკონომიკის ჩამოშლა. ამ ტენდენციის გათვალისწინებით, ევროპარლამენტი მეექვსე რეზოლუციაში, მაღალი ალბათობით, რუსეთთან ომის დაწყებასაც ღიად მოგვთხოვს.

კონკრეტული სახელმწიფოების მიერ დაწესებული სანქციების ფორმალური საფუძველი რომ სრულიად არასერიოზულია, ამას დიდი მტკიცება არ ჭირდება. ბიძინა ივანიშვილს ასანქცირებენ იმისათვის, რომ საქართველოში სისხლიანი ავტორიტარიზმი დემოკრატიული მმართველობით ჩაანაცვლა, ადამიანების წამებისა და მკვლელობის, ბიზნესის რეკეტის, მედიის მიტაცების, არჩევნების გაყალბების სისტემური პრაქტიკა დაასრულა, ქვეყნის ეკონომიკა 28 მილიარდიდან 90 მილიარდამდე გაზარდა და საქართველოს 12-წლიანი უწყვეტი მშვიდობა მოუტანა.

ვახტანგ გომელაურს და გმირ პოლიციელებს, მათ შორის 2008 წლის ომში ნაბრძოლ ადამიანებს ასანქცირებენ იმისთვის, რომ ბოლო ორ წელიწადში ხელისუფლების გადატრიალების სამი ძალადობრივი მცდელობა ეფექტურად აღკვეთეს, თანაც ისე, რომ ამას არათუ მსხვერპლი არ მოჰყოლია, არამედ თუნდაც ერთი ადამიანის ჯანმრთელობაზე არავითარი კვალი არ დაუტოვებია.

(გაგრძელება მეორე გვერძე)

ბაკურიანი პრობლემების ტყვეობაში!

საახალწლო არდადეგებზე ბაკურიანში ჩამოსული დამსვენებლები კურორტზე არსებულ საცობებზე, მოყინულ საფეხმავლო ბილიკებზე, შეზღუდულ საპარკინგე სივრცეებსა და ნარჩენების მართვის პრობლემებზე ხშირად საუბრობენ.

დავინტერესდით ბაკურიანში არსებული პრობლემებით და კომენტარი ვთხოვეთ ბაკურიანის განვითარების სააგენტოს თავმჯდომარეს, ქალბატონ ეკატერინე ორჯონიკიძეს, რომელმაც გვითხრა, რომ წლევანდელი გრძელი საცობების მთავარი მიზეზი დამსვენებლების განსაკუთრებით დიდმა ნაკადმა განაპირობა.

ქალბატონი ეკატერინე დაბის პრობლემებზე ამახვილებს ყურადღებას:

"- ბაკურიანში გამოწვევები ზოგადად ბევრია, ეს არის ათწლეულობით დაგროვილი პრობლემები. ჩვენდა სამწუხაროდ, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის მანძილზე ბაკურიანის გარშემო ბევრი პრობლემა დაგროვდა, რაც ძალიან ცუდია. **დამსვენებელთა და ავტომობილების ასეთი რაოდენობა არ ახსოვს ბაკურიანს. ბაკურიანი ტერიტორიულად პატარა კურორტია და ასეთი საცობები ნამდვილი კატასტროფაა**. ისიც მესმის, ადამიანებს ჩამოსვლას ვერ აუკრძალავ, არდადეგებია და აქ მოდის უმრავლესობა.

ბევრ ევროპულ ქვეყანაში არდადეგებიც კი ჯაჭვურად არის გადანაწილებული, რათა კოლაფსი არ მოხდეს, ან მერე ერთიანად არ დაიცალოს კურორტი, ანუ ყველაფერზე წინასწარაა ნაფიქრი. სამწუხაროდ, ჩვენთან ასე არ არის. მართალია დამსვენებლების უკმაყოფილება გამოიწვია საცობებმა, მაგრამ ზოგჯერ ოჯახიდან 5 მანქანით მოდიან დასასვენებლად და ამაზე თავად უნდა იფიხომ შეიძლება, მოქალაქეებმაც ხელი შეგვიწყონ? მარტო ლანძღვა-გინება და კრიტიკა მარტივია, თავიანთი მოვალეობებიც უნდა შეასრულონ - ნაგავი ურნაში ჩაყარონ და არა ფანჯრებიდან ისროლონ (ვისაც სად უნდა, იქ ტოვებს ნაგავს).

ქრონ. ამ ყველაფერმა გამოიწვია ის, რომ საფეხმავლო ბილიკიც აღარ არსებობს. 100-200 მეტრშიც კი, ყველა მანქანით გადაადგილდება, მანქანებს ტროტუარებზე აყენებენ. ყველაზე დიდი პრობლემაა საპარკინგე სივრცეების უქონლობა, ეს აუცილებლად მოსაწესრიგებელია. გაზი, წყალი და კომუნიკაციები წესრიგში და ნორმაშია, დებეტი იმაზე მეტია, ვიდრე საჭიროა.

მაგრამ გზები, რა თქმა უნდა, არ არის კარგ მდგომარეობაში, არის ორმოები, მოყინულ ტროტუარებზე მაქსიმალურად იყრება მარილი, მაგრამ ხშირად მუშაობაში კერძო მანქანები გვიშლიან ხელს.

საყოფაცხოვრებო ნარჩენები გაგვაქვს მარტო ღამის საათებში, რადგან დღე ნაგავმზიდები ვერ გამოგვყავს, რადგან დამატებით საცობებს იწვევს. ურნების გარშემო იმდენი მანქანა აყენია, პატრული გვეხმარება, რათა პატრონები ჩამოვიყვანოთ ბინებიდან, მანქანები რომ გაიყვანონ და ნაგავი გავიტანოთ, ამ კუთხითაც სრული კატასტროფაა.

გამოწვევა სამედიცინო კუთხითაც ბევრია, კომუნიკაცია მქონდა ჯანდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან და გადაწყდა, რომ კატასტროფის მანქანაც მუდმივად იდგება ქუჩაში (ვინაიდან ძალზე ხშირია ტრავმების შემთხვევები), სასწრაფო დახმარების ბრიგადები დამატებულია. ვთვლი, რომ როგორც კი სეზონი დამთავრდება, ყველა უწყება ერთად უნდა დავსხდეთ და საფუძვლიანად გავაანალიზოთ შექმნილი ვითარება. ძალიან ბევრი სამუშაო გვექნება. ფაქტია, რომ ბაკურიანის მიმართ დიდი ინტერესია, ამიტომ ყველა მაქსიმალურად მობილიზებული უნდა იყოს ბაკურიანის პრობლემების დასაძლევად. მარტო ჩვენი სააგენტო ვერაფერს გახდება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს უნებართვო და გადაჭარბებული განაშენიანება, ეს არის უდიდესი შეცდომა და დანაშაული ქვეყნის და ერის წინაშე. ბაკურიანში მრავალსართულიანი კორპუსების აშენება დაუშვებელია. ბაკურიანი უნდა იყოს მაგალითი იმისა, როგორ არ დავაზიანოთ **ბახმარო, გოდერძი, საირმე, ანდეზიტი, ციხისჯვარი, ტაბაწყური და ა.შ. ამ საკითხებზე და სხვა პრობლემებზე ყველამ უნდა ამოვიღოთ ხმა და ვიმსჯელოთ ობიექტურად. ინფრასტრუქტურა კი არა, კურორტზე თოვლიც აღარ ჩერდება, იმდენი ადამიანი და მანქანა იყრის თავს. კურორტი არ არის ამდენ ადამიანზე გათვლილი. არავინ ფიქრობს არც გამწვანებაზე, ყველა ორიენტირებულია მხოლოდ იმაზე, რომ აიშენოს ბინა, გაყიდოს და აკეთოს ბიზნესი. ასე არ შეიძლება, ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ ბაკურიანზე.**

არსებობს 2019 წელს დამტკიცებული ბაკურიანის გენგეგმა. ახლა მისი რევიზია მიმდინარეობს. როცა მშენებლობის ნებართვას გავცემთ, 2+1-ია ჩვენი კოეფიციენტი, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ირღვევა ეს მოთხოვნა. ნებართვა გაიცემა 4-5 სართულიან შენობაზე, მშენებელი კი 8 სართულიანს აშენებს. დარღვევებისთვის სხვა მკაცრი ბერკეტი უნდა მუშაობდეს, თორემ ჩვენი ბერკეტი მარტო ის არის, რომ ჯარიმა გადავახდევინოთ. ადამიანები ჯარიმას იხდიან, ამიტომ ბერკეტი უნდა იყოს ისეთი, რომ უნებართვოდ ერთი კვადრატიც არ უნდა აშენდეს. მე, როგორც ადგილობრივი, ერთი რიგითი მოქალაქე, მორატორიუმს გამოვაცხადებდი ბაკურიანში მშენებლობებზე, რადგან აღარ ეტევა არც კაცი, არც - შენობა. ადრე კვების ობიექტებიც მოწესრიგებული იყო, მაგრამ, როცა ის 50 კაცზეა გათვლილი და 500 კაცი სარგებლობს, ვეღარ აუდიან ნორმალურ მომსახურებას, პარალიზებულია სრულად კურორტი.

ერთის მხრივ, კარგია ბევრი დამსვენებელი, მაგრამ დაბა ვეღარ იტევს ამდენ დამსვენებელს. პრობლემები კომპლექსურად უნდა გადაწყდეს, ეს არის უმნიშვნელოვანესი.

სხვათაშორის, არა მარტო ბაკურიანშია პრობლემები, ზაფხულში ბათუმშიც იგივე პრობლემებია. ამჟამად, ბაკურიანში უცხოელი ტურისტებიც არიან და ოლიმპიური ფესტივალისთვის კიდევ უამრავ ტურისტსა და სპორტსმენს ველოდებით 43 ქვეყნიდან. ალბათ ის გვიშველის, რომ 9 თებერვლიდან დამსვენებელთა ასეთი ნაკადი აღარ იქნება, შემცირდება და მართვა აღარ გაგვიჭირდება.

პოლიტიკური საბჭოს განცხადება

(გაგრძელება)

ამის საპირისპიროდ ყველას გვახსოვს გლობალური ომის პარტიისა და „დიფ სთეითის“ ფავორიტების, მერაბიშვილისა და გახარიას 26 მაისის და 20 ივნისის სპეცოპერაციები, რომლებიც ერთ შემთხვევაში - 4 ადამიანის მკვლელობით, ხოლო მეორე შემთხვევაში - 7 ადამიანის ჯანმრთელობაზე უმძიმესი კვალის დატოვებით დასრულდა. შეგახსენებთ, რომ არც მერაბიშვილის და არც გახარიას სანქცირება აზრად არავის მოსვლია, რადგან „დიფ სთეითში“ იხელმძღვანელეს რუზველტის ცნობილი გამონათქვამით - **„ძაღლიშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილია“.** ლოგიკურია, რომ ვინც „ძაღლიშვილებს“ თავს ევლება, ის გმირ პოლიციელებს ასანქცირებს.

ყველას გვახსოვს ისიც, რომ რუსეთთან 2008 წლის ომის გამჩაღებელი დიქტატორი სააკაშვილი „დიფ სთეითმა“ გმირად და დემოკრატიის შუქურად მონათლა. ლოგიკურია, რომ გლობალური ომის პარტია ომის აგენტისთვის ქებას არ იშურებს. ამ ლოგიკის გაგრძელებაა ისიც, რომ „დიფ სთეითი“ ბიძინა ივანიშვილს მშვიდობისთვის სჯის. ამ ყველაფერს ქართული საზოგადოება ძალიან კარგად არჩევს და სწორედ ამიტომ აქვს „დიფ სთეითის“ სანქციებს საქართველოში ყოველგვარი ძალა დაკარგული.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს წინააღმდეგ სანქციები პირველად უკრაინის ხელისუფლებას დააწესებინეს, რომლის უმაღლესი თანამდებობის პირები საქართველოს ხელისუფლებას მეორე ფრონტის გახსნისკენ ღიად მოუწოდებდნენ. ამას მოყვა ბალტიისპირეთის ქვეყნების სანქციები, რომლებსაც სუვერენიტეტი, პრაქტიკულად, სრულად აქვთ დაკარგული და მთლიანად „დიფ სთეითის“ კარნახით უწევთ მოქმედება.

თავის დროზე დახურულ კარს მიღმა გაჟღერებულმა მოთხოვნამ და მუქარამ საბოლოოდ საჯარო სახე მიიღო. „ან იომებ, ან დაგსჯით“ - ეს არის მარტივი გზავნილი, რომელსაც საქართველო და ქართველი ხალხი გლობალური ომის პარტიისგან იღებს. მეტიც, ოპოზიციის პირით ქართველი ხალხის დასჯაზეც დაიწყეს საუბარი, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ ხელისუფლებაზე მეტადაც კი, გლობალურ ომის პარტიას ქართველი ხალხის უკომპრომისო პოზიცია აღიზიანებს, რომელმაც კოლექტიური ნაცმოძრაობის, ანუ გლობალური ომის პარტიის აგენტურის ხელისუფლებაში დაბრუნება და ომში საქართველოს ხელმეორედ ჩათრევა არ დაუშვა.

საბოლოოდ, ქართველ ხალხს ვერავინ ვერავითარი სანქციებით ვერ შეაშინებს, რადგან საზოგადოებას კარგად ესმის, რომ ქვეყნის განადგურებას ვერცერთი სანქცია ვერ შეედრება. ამიტომ, საქართველოს ხელისუფლებას ვერავინ ვერავითარი სანქციების ფასად ვერ აიძულებს ქვეყანა გამანადგურებელი ომისთვის გაწიროს. ქართველი ხალხი საქართველოს უკრაინიზაციას არავითარი სანქციების ფასად არ დაუშვებს.

გლობალური ომის პარტია მხოლოდ საზოგადოების უმცირესობის აზრის მანიპულირებას ახერხებს. კოლექტიური ნაცმოძრაობის მხარდამჭერ უმცირესობას დღეს ის ზუსტად ისევე უპირისპირებს საკუთარი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, როგორც ეს არაერთ ქვეყანაში გაუკეთებია. ლოკალური ომის პარტიის, ანუ კოლექტიური ნაცმოძრაობის მხარდამჭერებმა ზუსტად იციან, რომ სიმართლე მათ მხარეს არ არის და სწორედ ამიტომ ამბობენ უარს ხელისუფლების ყველა შეთავაზებაზე საჯარო დისკუსიის გამართვასთან დაკავშირებით. თუმცა, სამწუხაროდ, ამ ადამიანებს მონური დამოკიდებულება არ აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ამერიკული თუ ევროპული ბიუროკრატიის ნაბიჯებს კრიტიკულად შეხედონ.

გლობალური ომის პარტიის გავლენით, თანამედროვე მსოფლიოში მოქმედებს ორუელისეული პრინციპი - **„ომი არის მშვიდობა, მონობა - თავისუფლება, ხოლო უმეცრება - ძალა“.** ომი, მონობა, უმეცრება და ყველაფრის უკუღმა წარმოჩენა არის მთავარი ინსტრუმენტი, რომლითაც გლობალური ომის პარტია თანამედროვე სამყაროს უდიდეს ნაწილს არაფორმალურად მართავს.

უკვე ზედიზედ მეორედ არ აღიარებენ ეუთო/ოდირის დასკვნას საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, როდესაც მანამდე ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის საქართველოში მოწვევას დაჟინებით ითხოვდნენ. მეტიც, ამ დასკვნით გაგულისებულმა ოპოზიციამ და მისმა პატრონებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ საქართველოში ეუთოს დელეგაციის ჩამოსვლა არ დაეშვათ.

ამერიკელ კონგრესმენს, ჯო უილსონს დააინიცირებინეს ე.წ. „მეგობარი აქტი“ საქართველოს შესახებ, რომელსაც შინაარსიდან გამომდინარე, მხოლოდ „მტერი აქტი“ შეიძლება ეწოდოს. უილსონმა იმოქმედა პრინციპით - **„სასიამოვნო სასარგებლოსთან ერთად“** და „დიფ სთეითის“ დავალებების შესრულებას ევროპელი პენსიონერების მძარცველი კეზერაშვილისგან ფინანსური სარგებლის მიღებაც დაურთო. ათეულობით ევროპელი პენსიონერისთვის წართმეული ფული ერთ ამერიკელ პენსიონერს - ჯო უილსონს ხმარდება, რითაც „დიფ სთეითი“ თავის პოლიტიკურ ამოცანას ასრულებს და საქართველოს სანქციებით აშანტაჟებს. ჯო უილსონი არის „დიფ სთეითის“ ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გამოვლინება - დეგრადირებული პოლიტიკოსი ნულოვანი პოლიტიკური კულტურით, რომელიც უხეშად გვემუქრება, რომ დაგვსჯის, თუ არ ვიომებთ.

შეგახსენებთ, რომ ჯო უილსონს, რომელიც თავს კონსერვატიული მსოფლმხედველობის პოლიტიკოსად წარმოაჩენს, ერთხელაც არ დაუგმია ენტონი ბლინკენის გადაწყვეტილება, რომელიც კაცის კაცად და ქალის ქალად მოხსენიების აკრძალვას ითვალისწინებდა და რომელსაც პრეზიდენტ ტრამპის გუნდი ერთხმად გაემიჯნა. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ უილსონი ბლინკენის ხაზს საქართველოს დასჯის ნაწილშიც ერთგულად აგრძელებს.

პრეზიდენტ ტრამპის მიერ „დიფ სთეითის“ მოშლის ამოცანის წარმატებით შესრულებას შეუძლია ქართულ-ამერიკული ურთიერთობების თვისებრივი გადატვირთვა უზრუნველყოს, რაც, გვჯერა, თანაბრად შედის როგორც საქართველოს, ისე ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებში.

ევროპაში „დიფ სთეითის“ მეტასტაზების მოშლას შედარებით მეტი დრო დასჭირდება. როგორც უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა, ვიქტორ ორბანმა აღნიშნა - **„სოროსმა დაკარგა ვაშინგტონი პრეზიდენტ ტრამპის არჩევით, მაგრამ ბრიუსელი კვლავ მის ხელშია“. ბუნებრივია, სოროსში არა კონკრეტული ადამიანი, არამედ „დიფ სთეითის“ უკან მდგომი ოლიგარქიული ქსელი იგულისხმება.**

„დიფ სთეითის“ ევროპული მეტასტაზების მოშლა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების გადატვირთვის აუცილებელი პირობაა. სწორედ ამ მეტასტაზების აქტიურობის შედეგია არა მხოლოდ ევროკავშირის ბიუროკრატიის არსებული ანტიქართული პოლიტიკა, არამედ უხეში ლგბტ-პროპაგანდა და მიგრაციული პოლიტიკა, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებს თანმიმდევრულად იდენტობას აკარგვინებს და რითაც ჩვენ ქვეყანასაც უშუალოდ ემუქრებიან.

იმედი გვაქვს, 2030 წლამდე ევროკავშირი სრულად დაძლევს არაფორმალური ოლიგარქიული გავლენისა და „დიფ სთეითის“ პრობლემას, რაც შექმნის სათანადო პირობებს საქართველოს ევროკავშირში გასაწევრიანებლად. ამასთან, საქართველო არა მხოლოდ პასიურად უნდა დაელოდოს ცვლილებებს ევროკავშირში, არამედ თავადაც აქტიური ნვლილი უნდა შეიტანოს ევროკავშირის წინაშე არსებული პრობლემების დაძლევაში.

მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ და ევროპაში - ეს არის დევიზი, რომელიც 2030 წლამდე არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ევროკავშირის თითოეული წევრი სახელმწიფოსთვის უნდა გახდეს თანაცხოვრების საკვანძო პრინციპი!

გამოცდილება ყველაზე დიდი ცოდნაა

ეთერ გვენეტაძემ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა ზვიად გამსახურდიას ვიდეო და პატარა ნიუსი მიაწერა: „**იყავით თქვენი ერის მხარეზე და ემსახურეთ თქვენ ერს**“. აი, ეს სიტყვები ისმოდა მაშინ, როცა 30 წლის წინ დამოუკიდებლობისათვის ვიბრძოდით. ჩვენი პირველი პრეზიდენტი სწორედ ამ ბრძოლას შეეწირა. ღმერთმა აცხონოს და ნათელში ამყოფოს მისი წმინდა სული. ეს სიტყვები ჩემთვის ახლაც არ გახუნებულა.

თუ შევხედავთ „ქართული ოცნების“ ქმედებებს, აშკარად ჩანს საქართველოს მხარეზე დგომა და ხალხის საკეთილდღეო მოთხოვნების გათვალისწინება, მაგრამ ჩვენი საშველი მაინც არ არის.

ერთი ვერაგი მტრისგან თავი დავიხსენით, სამაგიეროდ მეორე - ევროპა გამზადებულია, პირდაპირ გვეუბნება, ვინ გითხრა, რომ დამოუკიდებელი ხარო და ახლა იქიდან გვაძლევს მითითებებს. მათ გარეშე დამოუკიდებლად ერთი ნაბიჯის გადადგმის უფლებაც არ გვაქვს.

ჯერ კიდევ 20 წლის წინ დაიწყო ჩვენს ქვეყანაში დასავლეთმა შემოჭრა, განათლების სისტემა მოგვიშალა, დაგვინგრია, ინგლისურის სწავლება პირველი კლასიდან დავიწყეთ, მალე, ალბათ ინგლისურ-ენოვან სკოლებსაც გავხსნით, როგორც ადრე, საბჭოთა კავშირის დროს, როცა რუსულენოვანი სკოლები გვქონდა. უცხო ტექსტები და ახლებური მეთოდებით სწავლება დაგვიმკვიდრა. პროექტები ხომ შემოიტანა და შემოიტანა, რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი ფულითაც დააფინანსა. ახლა დავფიქრდეთ: რატომ, რისთვის ირჯებოდა, თუ სარგებელს ვერ ნახავდა ჩვენიდან. საკუთარ ოჯახის წევრს უანგაროდ წყალს არ მიანვდიან და ვინ ვართ ჩვენ მათთვის.

დასავლეთია სწორედ ის, რომელიც ქართველს გვიპირისპირებს და აქაც ომის პარტიის დაფინანსებას იყენებს. ქართული ოპოზიცია აშკარად დასავლეთის და თავის საქმესაც აკეთებს, ამით კი საქართველოს და ქართველ ხალხს აზიანებს.

არჩევნები ჩატარდა, ოპოზიციას „კოვზი ნაცარში ჩაუვარდა“, მეოთხე ვადით „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა. ოპოზიციამ რადიკალურ ქმედებებს მიმართა, როგორც ყოველთვის, ტყუილებით გაბერეს ხალხი, გაყალბებული არჩევნების ძახილით გამოიყვანეს ქუჩაში და დღესაც აქციებზე იმყოფებიან, მოთხოვნა იგივეა, - ჩატარდეს ხელახალი არჩევნები.

ახალგაზრდების მოტყუებას რა უნდა, ჯერ ევროპას გვართმევენო. არადა, ამ დროს ევროპას თავისი საქმე გაჭირვებია, ახლებურ რელსებზე აპირებს გადასვლას და ევროკავშირში განევრიანებაც შეჩერებულია. ახალგაზრდებს კი უკიჟინებენ, ევროპულ მომავალს უნდა დაცვაო. ისინიც გაყვირიან, -ჩვენია ეს ქვეყანა, არავის დავუთმობთ, ჩვენ გვეკუთვნის, ჩვენ ვართ მომავალი. მართლაც მათია, ვერ შეედავები, მაგრამ ის თუ გააცნობიერეს, რომ მათია ქვეყანა, იმას რატომ ვერ ხვდებიან, რომ ქვეყანას მოფრთხილება, დაცვა უნდა, საკანონმდებლო ორგანოს რომ აზიანებ, ქუჩებს, სკვერებს ცეცხლს უკიდებ, პოლიციას პიროტექნიკას, ქვებს და გაურკვეველი დასახელების ნივთებს ესვრი, რომელსაც შენი დაცვა ევალება, ვერ უნდა გაიგო?. ამბიცია გაქვს, შენად მიიჩნევ ქვეყანას, მაგრამ მერე ხომ შენი ასაშენებელი იქნება, რასაც ანგრევ და აპარტახებ, შენ ასეთ საქციელზე პასუხს რომ მოგთხოვენ, ეს ხომ უნდა გესმოდეს. გამოდიხარ აქციაზე, გულზე ორი დიპლომი გაქვს გაკრული და იძახი - უდიპლომო პრეზიდენტი გვყავსო. ისიც ვერ გაუგიათ, რომ გამოცდილება ყველაზე დიდი ცოდნა და დიპლომია. ძირითადად ახალგაზრდები მობილურში არიან ჩაყუდებულები, ტელევიზიას არც უყურებენ, არ უსმენენ. საერთოდ არ აინტერესებთ არც არჩევნები და არც შედეგები.

და აი, სწორედ ასეთი ახალგაზრდები ადვილად წამოეგებიან ხოლმე „სიცრუის“ ანკესზე. ახლობელმა, რომელიც თეატრალურ ინსტიტუტში მუშაობს, მითხრა: - სტუდენტებმა თეატრალურ ინსტიტუტის შესასვლელში გაშალეს ლეიბები და დღე-ღამეს იქ ატარებენო. პროდუქტებით, ოპოზიციონერი ნანუკა ჟორჟოლიანი ამარაგებსო. ასეთები ვერ ხვდებიან, რომ იმ ინსტიტუტში სწავლისთვის არიან, რომ უსწავლელი არც ქვეყანასა არგია და არც ევროპას. სამშობლოს სიყვარული არაა ინსტიტუტის შესასვლელში ლეიბზე გორაობა. ოპოზიციის მიზანი სწორედ ეს არის, საზოგადოებას აჩვენოს, რა ელის საქართველოს იზოლაციის პირობებში.

დარბევის ის ფორმა, რომელსაც მოძალადეების წინააღმდეგ იყენებს პოლიცია, უკვირთ, რატომ. თუ ევროპა უნდათ და ევროპული ყველაფერი მისაღებია მათთვის, რატომღა უკვირთ პოლიციელებისგან ასეთი მოპყრობა.

ფაქტიურად, დასავლეთი და ოპოზიცია საქართველოში მშვიდობას უპირისპირდება, რათა რუსეთის ომში ჩაგვრთონ, ამიტომ არის, რომ დღეს ყველაზე მეტად ქართველმა ხალხმა გონიერება უნდა გამოიჩინოს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი რაც არის, ეს მშვიდობაა.

არადა, ეუთო ოდირის საპარლამენტო ასამბლეამ აღიარა არჩევნების ლეგიტიმაცია, გამოძიებითაც დადგინდა, რომ ერთი და იმავე ადამიანი ვერ მიცემდა ხმას სხვადასხვა უბანზე - ვერიტიფიკაციის აპარატზე, რადგან 12 საათის განმავლობაში მარკირება არ იშლება.

„**სპეციალი სარკეა, რომელიც თავის თავს ავლენს**“- გოეთეს ეს სიტყვები მიესადაგება ოპოზიციის ქცევას.

მმართველი პარტია ხელახალ არჩევნებზე რომ დათანხმდეს, დარწმუნებული ვარ, რომ უფრო ნაკლებ ხმას მიიღებს ოპოზიცია. ამოუვიდა ამდენი დაპირისპირება ხალხს ყელში, დაიღალა.

ადამიანების ნახევარი აქციებზე იმისთვის გადის, რომ გაუცნობირებელ ახალგაზრდებს, თავიანთ შვილებს დაუდგნენ გვერდზე. არიან ადამიანები, რომლებიც არც ერთი და არც მეორის მომხრე არ არის და იმ იმედად არიან, რომ იქნებ ახალი ძალა გამოჩნდეს და ეშველოს ამ ქვეყანას დაწყნარებაო.

აშშ შტატების, დონალდ ტრამპის სიტყვა პრეზიდენტად არჩევის წინ: „**დავასრულებ ომს უკრაინაში, შევაჩერებ ქაოსს ახლო აღმოსავლეთში, თავიდან ავიცილებ მესამე მსოფლიო ომს, წარმოდგენაც კი არ გაქვთ, რამდენად ახლოს ვართ ამასთან**“. ეს სიტყვები იმედის მომცემია, როგორც მსოფლიოსათვის ასევე საქართველოსთვის. ღმერთო, მშვიდობით დაამთავრე ეს ქაოსი საქართველოში. ვხედავთ, ქართველ საზოგადოებას ვერა და ვერ ეღირსა ამოსუნთქვა, მშვიდობიანად ცხოვრება.

ისევ და ისევ საქართველოს სიყვარული თუ გადაარჩენს ქვეყანას.

ნათელა იჩქიტიძე

ქუჩებში ცხენები დაეხეტებიან

აღნიშნული პრობლემის შესახებ მე, პირადად, რამდენჯერ დავწერე, სიმართლე გითხრათ, უკვე სათვალავი ამერია, თუმცა, ყოველთვის ვცდილობ, „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს ზურგს უკანო!“ პრინციპით ვიმოქმედო და სიმართლე რაოდენ მწარეც არ უნდა იყოს, მაინც უნდა დავწერო. რამდენიმე დღის წინ, საღამოს საათებში, სახლისაკენ მიმავალი მეტად არასასიამოვნო სცენას წავაწყდი: ახალ უბანში ე.წ. ,,ცენტრ პოინტის“ კორპუსის მიმდებარე შესასვლელთან მდგარ ნაგვის ურნასთან, შორიდანვე შევნიშნე ცხენი, რომელიც აშკარად რაღაცას მიირთმევდა, თან ჭიხვინებდა. ცოტა ხანში, კორპუსის მხრიდან, რამდენიმე ცხენი შემოურთდა და უკვე ახლოს მისულმა დავინახე, რომ ცხენები ნაგვის ურნასთან პირდაპირ ძირს დაყრილ პურის ნაჭრებს როგორ მირთმევდნენ. გავიარე რამდენიმე ნაბიჯი და ზუსტად იმ ადგილზე, სადაც კიბე ადის, რობაქიძის ქუჩაზე, ქუჩის სივიწროვის გამო, რეალურად მუნიციპალიტეტმა, სწორედ ამ ქუჩის კიბესთან მოსახლეობისთვის დადგა ურნა, რომ ნაგვის ჩაყრის შესაძლებლობა ჰქონოდათ. სამწუხაროდ, იმ ურნაში რობაქიძის ქუჩის მაცხოვრებლების გარდა, ახალი უბნის სხვა ქუჩების (თამარ მეფის, შანიძის, ნინოშვილის, გრ. ხანძთელისა და ა.შ.) მოსახლეობა ყრის ნაგავს. ეს ნაგავი ყველანაირ საყოფაცხოვრებო თუ სამშენებლო ნარჩენებია. აი, სწორედ იმ ურნაში თავჩარგული ცხენი შევნიშნე, რომელსაც პატარა კვიცი უმშვენებდა გვერდს. ჰოდა, ცხენი გამალებით წიწკნიდა ურნაში ჩაგდებულ პარკს. ამ არასასიამოვნო სცენამ კი ერთი ამბავი გამახსენა, რომელიც ჩემ ნათესავს წლების წინ გადახდა, თავის პირუტყვთან დაკავშირებით.

იმ დროს, სანამ ,,ცენტრ პოინტის“ კორპუსი საცხოვრისად გადაკეთდებოდა, ფაქტიურად, ნაგავსაყრელად იყო ქცეული და ახლობელს, რომელსაც სახლში ძროხები ყავდა, მახსოვს, ვინ იცის, რამდენჯერ გამოუყვანია იმ ნაგავსაყრელიდან თავისი პირუტყვი და საბალახოდ გაუშვია, თუმცა ურჩი პირუტყვი მაინცდამაინც ნაგავსაყრელს სტუმრობდა. ჰოდა, ერთ დღესაც ძროხა ცუდად გახდა, თითქოს რაღაც ახრჩობდა. ვეტერინარმაც ნახა და რომ ვერ დაეხმარა, პატრონი იძულებული გახდა, დაეკლა. მოკლედ, დაკლულ პირუტყვს საყლაპავ მილში და ნაწლავებში, წლების მანძილზე ნაჭამი ცელოფანის პარკები აღმოაჩნდა, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია. ეს ამბავი სწორედ იმიტომ გავიხსენე, რომ ჯერ ერთი, იმ ნაგავის ურნებს, თავზე სახურავი აქვს დამონტაჟებული და ნაგავს ვინც ყრით, ნება იბოძონ და თავსახური დაახურონ, მეორე კიდევ, იქნებ და იზრუნონ იმაზე, რომ საკვების ნარჩენებს ასე პარკში გამოკრულებს ნუ გადაყრიან და მესამე ის, რომ ცხენები, ფაქტიურად, ქალაქის ქუჩებში, მოხეტიალე ძაღლების რაოდენობას გაუტოლდა და ალბათ მომავალში გაასწრებენ კიდეც. ისინი ხომ კონკრეტული ადამიანების საკუთრებაა და რაც მთავარია, მათი ბიზნესი და შემოსავლის წყაროცაა. ამიტომაც, ნება იბოძეთ და შესაბამისი ყურადღება მიაქციეთ მათ.

ნატო მელიქიძე

პენსიონერები მადლიერები არიან

2025 წლიდან პენსია 35 ლარით გაიზარდა, შესაბამისად 70 წლამდე ასაკის პირთა პენსია იანვრიდან 350 ლარით განისაზღვრა, ხოლო 70 წლის და მეტი ასაკის პირთათვის 450 ლარის ოდენობით. ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა, ლაშა ხუციშვილმა 10 დეკემბერს პარლამენტში განაცხადა.

მისივე თქმით, ამასთან, მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები პენსიონერებისთვის კანონით განსაზღვრული 20%-იანი დანამატების გათვალისწინებით, 70 წლამდე პირთა პენსია - 420 ლარი, ხოლო 70 წლის და მეტი ასაკის პირთა პენსია - 540 ლარია;

გარდა ამისა, მინისტრმა აღნიშნა, რომ 2025 წლიდან გაიზრდება კომპენსაციების მოცულობაც. ლაშა ხუციშვილის განცხადებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებები 8 მილიარდ 820 მილიონი ლარის ოდენობით განისაზღვრა, რაც 2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით, გაზრდილია 990 მილიონ ლარზე მეტით.

მომატებულ პენსიას საზოგადოებაში ათასი მითქმა-მოთქმა მოჰყვა და ძირითადად საზოგადოების ოპოზიციის ნაწილი მწვავე პოსტებით პასუხობს მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებით და ადარებენ მაღალჩინოსნების ყოველთვიურ შემოსავალს, რომელიც ხშირად 10-ჯერ და უფრო მეტადაც აღემატება პენსიას.

ჩვენ დავინტერესდით უშუალოდ პენსიონერების მოსაზრებით, თუ რას ფიქრობენ ისინი მომატებულ პენსიაზე და რა სახის ხარჯების დასაფარად ყოფნით ის ყოველთვიურად?

ბორისი, 65 წლის: - მოხარული ვარ მთავრობის გადაწყვეტილებით, რომელიც საპენსიო რეფორმას ეხება და გულისხმობს ასაკის მიხედვით პენსიის მატებას. მე, პირადად მომატებული პენსია ავიღე ამ თვეში. რაც შეეხება ხარჯებს, ყოველთვიურად კომუნალურებისთვის და საკვებისთვის ვანაწილებ. ჩვენ საზოგადოების ის ნაწილი ვართ, ვისზეც სახელმწიფომ შესაბამისად უნდა იზრუნოს და ის ძვრები, რაც თუნდაც პენსიის მცირედი მომატებით ამ წელს მოხერხდა, ნამდვილად მნიშვნელოვანია.

მარიამი, 71 წლის: - თუკი წინა წლების პენსიას შევადარებთ, 450 ლარი ცოტა თანხა არ არის. კი, ვიცით, რომ პროდუქტების ფასებმაც მოიმატა, მაგრამ წამლებში, საკვებში და ყოველთვიურ გადასახადებში შეძლებისდაგვარად ვიმყოფინებთ. შეიძლებოდა და სასიამოვნო იქნებოდა, რომ კიდევ უფრო მეტი მომატებულიყო, თუმცა, რაც არის, პირადად მე, მადლიერი ვარ.

ელენე, 64 წლის: - ყოველთვიურად 60-70 ლარის

წამლები მესაჭირეობა. მჭირდება მედიკამენტები ფარისებრის სამკურნალოდ, ასევე მედიკამენტებს ვიღებ წნევის რეგულირებისთვის. არის ხოლმე გარკვეულწილად გაუთვალისწინებელი ხარჯებიც, თუმცა საზოგადოების იმ ნაწილის მოსაზრება, რომ ჩვენი პენსია მაღალჩინოსნების ხელფასს შეადარონ, არასწორად მიმაჩნია. სამომავლოდ მჯერა, რომ კიდევ მოგვემატება პენსია და საქართველოში მცხოვრები პენსიონერები ნამდვილად ღირსეული საზოგადოების წევრებად ვიგრძნობთ თავს. შვილებიც მეხმარებიან, მეუღლეც პენსიონერია და წინა წლებს რომ ვადარებ, რამდენად სასაცილო პენსია ჰქონდა ქართველ პენსიონერს, ახლა მართლა ადამიანად ვგრძნობთ თავს. ყველას თავისი მოსაზრება აქვს. მე პირადად მიხარია, რომ ამ თვეში 35 ლარით მეტი პენსია ავიღე.

გიორგი, 80 წლის: - 540 ლარი ავიღე დღეს პენსია და ძალიან მიხარია. მთელი ჩემი ცხოვრება სულ ვმუშაობდი, რა გამაჩერებდა უმუშევარს, დღეს პენსიონერი ვარ და პენსიის მეტი სხვა შემოსავალი არ მაქვს. ამიტომ, მიხარია მომატებული პენსია. შვილები მყავს, შვილიშვილები, ისინიც მეხმარებიან. ტკბილეულს ვყიდულობ, პროდუქტებს. წამლებიც მჭირდება ყოველთვე. მადლობა, რომ პენსიონერებს გვაფასებენ.

ლუდმილა, 77 წლის: - მე ის მსიამოვნებს, შვილო, რომ ყველა პენსიონერს ჩვენი კონკრეტული დღე გვაქვს, რა დროსაც მივდივართ ბანკში და პენსიას ვიღებთ. 450 ლარი ავიღე. ძალიან მიხარია. კარგი იქნებოდა, რომ უფრო მეტიც გვქონებოდა, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ მომავალში კიდევ გაზრდიან პენსიას. მარტოხელა პენსიონერებისთვის ცხოვრება უფრო რთულია, თუმცა, მაინც მადლობა.

ნათელა, 75 წლის: - მახარებს ის ფაქტი, რომ პენსია ყოველ წელს იზრდება, მაგრამ 35 ლარის მომატება ნამდვილად მცირეა, 100 ლარი მაინც უნდა ყოფილიყო. როგორც კი მოიმატებს პენსია, მაღაზიებში, თუ აგრარულ ბაზარზე ყველაფერი კატასტროფულად იზრდება, განსაკუთრებით პროდუქტებზე. შენიშვნას ვერც მიცემ მათ, რადგან მათთვისაც იმატებს ფასები. წამლებზე მოთხოვნილება პენსიონერისთვის ყოველწლიურად იზრდება, ამიტომ ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს წამლების ფასების დარეგულირებაზე, რათა პენსიონერს თავისუფლად შეეძლოს საჭირო მედიკამენტების ყიდვა და მოხმარება.

იზოლდა, 77 წლის: - ჩემთვის მართლაც სასიამოვნოა პენსიაზე 35 ლარის მომატება, მჟამად ვმუშაობ და მასთან ერთად პენსია, მართლაც ჩუქებასავითაა.

გამოიკითხა
ნატალი მესხელმა

ინტერვიუ საკუთარ თავთან

ცოტა ხნის წინ, ერთმა კეთილშობილმა რესპოდენტმა მესენჯერში საოცრად პოზიტიური შეტყობინება მომწერა. უდიდესი მადლიერება გამოხატა ჩემი, როგორც პიროვნებისა და როგორც ჟურნალისტის პროფესიის მიმართ და მითხრა, რომ საზოგადოებამ თქვენ შესახებაც უნდა იცოდესო.

სწორედ ამიტომაც გადავწყვიტე, რატომაც არა? საზოგადოებას უფლება აქვს, გვიცნობდნენ თუ როგორები ვართ ჩვენ, ჟურნალისტები, რესპოდენტის ამპლუაში და რეალურ ცხოვრებაში, რა გვახარებს, რა გვტკივა და ა.შ. ამიტომაც, პირადად დავუსვამ შეკითხვებს საკუთარ თავს და ობიექტურად გავცემ პასუხებს. მაშ, ასე, გთავაზობთ ინტერვიუს საკუთარ თავთან:

● **ვინ არის ნაჯო მელიქიძე?**

- შვილი, მეუღლე, სამი შვილის დედა, ჟურნალისტი, უბრალოდ ადამიანი, ვისაც უზომოდ უყვარს სიცოცხლე და საკუთარი საქმე.

● **დილა იწყება...**

- შვილებთან ჩახუტებით და ფინჯანი ყავით.

● **ცხოვრებაში ყველაზე მადლიერი რის გამო ხარ?**

- ჯანმრთელი შვილების, ცოცხალი მშობლების, რომლებიც ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი საყრდენები არიან, ყველა იმ ადამიანის კარგად ყოფნით, ვინც მიყვარს და ჩემთვის ძვირფასია. ასევე იმ საქმის, რომელსაც წლებია ვემსახურები.

● **რა არის შენი ყველაზე დიდი მიღწევა?**

- ამ ეტაპზე მგონია, რომ ყველაზე დიდი მიღწევა არის ის, რისი სწავლაც მე შემეძლო ბავშვობაში და ბავშვური ხასიათის გამო, იმ მომენტში არც ისე მნიშვნელოვნად ჩავთვალე (მუსიკალურ განათლებას ვგულისხმობ), ჩემ შვილებს ვეხმარები, დაეუფლონ მუსიკის ხელოვნების საფუძვლებს. ვფიქრობ, რომ შეძლებისდაგვარად გამოსდით კიდეც. ასევე მიღწევაა ის, რომ ბავშვობის ოცნება, გამხადრიყავი ჟურნალისტი, რეალობად ვაქციე და დღეს ის, ჩემი პროფესიაცაა და რა თქმა უნდა, შემოსავლის წყაროც.

● **რომ არა ჟურნალისტი, ვინ იქნებოდი?**

- სიამოვნებით ვიქნებოდი ხელოვნებათმცოდნე, რადგანაც ეს დარგი ჩემ ხასიათთან და შესაძლებლობებთან ძალიან ახლოს არის. თავისუფალ დროს სწორედ ხელნაკეთი ნივთების დამზადებით ვარ დაკავებული.

● **რა განიჭებს სიამოვნებას?**

- სხვა ადამიანების ბედნიერების ცქერა.

● **რას აფასებ ყველაზე მეტად მეგობრობაში?**

- ერთგულებას.

საყვარელი ფერი...

- იასამნისფერი, რომელიც ყველაზე მეტად აღწერს ჩემ სულიერ მდგომარეობას.

● **რომელია შენი ყველაზე ძვირფასი მოგონება?**

- ყოველ ჯერზე, როდესაც გავაცნობიერე, რომ უფალმა კიდევ ერთხელ დამაჯილდოვა შვილის ყოლის ბედნიერებით და ეს ბედნიერება სამგზის მხვდა წილად.

● **რომელია შენი ყველაზე ცუდი მოგონება?**

- ბიძაშვილის გარდაცვალება, რომელიც ჩემთვის ძმა უფრო იყო, ვიდრე ბიძაშვილი. ანუ ის მომენტი, როდესაც გავაცნობიერე, რომ მას ველარასდროს ვნახავდი.

● **ტირილი სისუსტის ნიშანია?**

- არა, რა თქმა უნდა. ტირილი არის ადეკვატური რეაქცია გარკვეულ მომენტში განცდილ ტკივილზე. მე პირადად, ბედნიერებისგანაც მიტირია და ვთვლი, რომ ეს ნორმალურია.

● **როგორ ადამიანს აფასებ?**

- მადლიერების მქონე ადამიანს. ვთვლი, რომ მადლიერება თანდაყოლილი ნიჭია.

● **რომ შეგეძლოს რაიმეს შეცვლა, რას შეცვლიდი?**

- მგონია, რომ ყველაფერი ცხოვრებაში, ცუდიც და კარგიც, მხოლოდ უფლის დაძვებით ხდება, ამიტომ არაფერს შევცვლიდი.

● **რის გამო ღირს სიცოცხლე?**

- ერთი გათენებული დღისთვის. იმ ადამიანების კიდევ ერთხელ ხილვისთვის, ვინც გვიყვარს, ვუყვარვართ და ჩვენთვის ძვირფასია.

● **რას უსურვებდი საკუთარ თავს?**

- პირველ რიგში ბედნიერ დედობას და მრავალი წელი იმ საქმიანობით ტკბობას, რასაც ვემსახურები.

წიგნის თარო

საინტერესო ცნობები ბორჯომის ისტორიიდან

1968 წლის წყალდიდობამ სრულიად მოარღვია ქალაქში მტკვრის სანაპირო. საჭირო შეიქნა მტკვრის მტკიცე კალაპოტში მოქცევა. იმ დროს ნაპირგასამაგრებელ სამუშაოებს ბორჯომელი მშენებლები აწარმოებდნენ. ბობოქარი მტკვარი არ ემორჩილებოდა მშენებლებს და რამდენჯერმე კიდეც დაანგრია მათ მიერ ახლადაშენებული ჯებირები.

და აი, აქ, ნიჭიერმა ბორჯომელმა მშენებელმა **თეიმურაზ ლომიძემ**, რომელიც გარდა მშენებელისა - მათემატიკოსიც იყო, გამოთვალა და შეადგინა სანაპიროს გამაგრების ნახაზი, რომლის ვარგისიანობაშიც, იმ დროს, ბევრმა ეჭვი შეიტანა. მაგრამ ახალგაზრდა, პრინციპული ინჟინერი, დარწმუნებული იყო რა თავისი გამოთვლა-ტექნოლოგიის სიზუსტეში, საკუთარ თავზე აიღო ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც ამ სარისკო ამოცანის განხორციელებასთან იყო დაკავშირებული. მოგეხსენებათ, ეს ის პერიოდია, როცა ამგვარი პროექტის ჩაშლის შემთხვევაში, ავტორს ციხეც კი ელოდა.

საბედნიეროდ, პროექტმა გაამართლა და მივიღეთ ქალაქის, ცენტრალური ნაწილის, საიმედოდ გამაგრებული სანაპირო, ლამაზ, მოხვეულ ზოლად დღესაც რომ მიჰყვება და ამშვენებს ჩვენი ქალაქის ცენტრს, ხოლო ინჟინერი თემური ლომიძე დააწინაურეს. მალე მას დიდი სამშენებლო ტრესტის მმართველობაც კი ელოდა, მაგრამ სრულიად ახალგაზრდა, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ტრაგიკულად დაიღუპა.

იმავე, 1968 წელს, მეორე სტიქიამ, დიდმა ხანძარმა იფეთქა, რამაც სანატორიუმი ,,მთის ხეობა“ (მიხეილ რომანოვის ყოფილი სასახლე) შეინწირა.

რუსული ძელური ორმაგად აშენებული საკედლე მასალა შუაში ბამბით იყო ამოვსებული. ამან განაპირობა ხანძრის სწრაფი გავრცელება. მოძველებული იყო ელექტრო გაყვანილობაც, რამაც ჯერ სამზარეულოში გააჩინა ხანძარი. კარგად გამომხმარი ხე და ბამბა სწრაფად დაიწვა და შენობაც შეინწირა ხანძარმა.

ნახანძრალზე 1979 წლის ბოლოს, ექსპლუატაციაში შევიდა 14 სართულიანი სანატორიუმის კომპლექსი „მთის ხეობა“, რომლის ავტორი გახლდათ ცნობილი ქართველი არქიტექტორი **იოსებ (სოსო) ზაალიშვილი**. დღეს ამ შენობაში აფხაზეთიდან დევნილთა ოჯახები სახლობენ. და რა სამწუხაროა, რომ ამ ძვირფას, ეკლარის ქვით ნაშენებ შენობას ზოგიერთი მოსახლე თვითნებურ გადაკეთება-გამონგრევებს უბედავს, რაც განსაკუთრებით აუშნოვებს ამ ლამაზი შენობის ფასადს.

ბაკურიანი

უნდა ითქვას, რომ იმდროინდელ საქართველოს მთავრობას დიდი ჩანაფიქრი ჰქონდა ბორჯომის რაიონის, კერძოდ კი, ბაკურიანის ოლიმპიურ ცენტრად გადაქცევისათვის. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არასოდეს ჩატარებულა ზამთრის ოლიმპიადა, თუმცა ბაკურიანთან ერთად პრეტენდენტთა სიაში სსრკ-ში კიდევ სამი ადგილი იყო: მედეო-ყაზახეთში, პულკოვო - ლენინგრადში, კრასნაია პალიანა - სოჭაში.

საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა მდივანმა, **ჯუმბერ პატიაშვილმა**, შეძლო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის **სამარანჩის** დარწმუნება ბაკურიანის უპირატესობაში.

სამარანჩი წარმოშობით ბასკი იყო და ჯუმბერ პატიაშვილმა ხუმრობით მის "ქართველობაზე" აქცენტირებაც კი გამოიყენა. პარალელურად,

ბაკურიანში, ბუნებრივი პირობების გასაცნობად, მან მოიწვია საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე **გრამოვი**, რომელიც მოხიბლული დარჩა ბაკურიანით და მისი ოლიმპიური პოტენციალით. გადაწყვეტილება თითქმის მიღებული იყო, პირველადი ხარჯთაღრიცხვაც - შემუშავდა. 1 600 000 000 მანეთი ადვილი წარმოსადგენია, რა სიკეთეებს მოუტანდა წინასაოლიმპიადოდ საქართველოს, კერძოდ კი ბორჯომ-ბაკურიანს; მშენებლობის როგორი ხარისხის მასშტაბები გაიშლებოდა ხეობაში.

ეს მოლაპარაკება შედგა ბაკურიანში, 1989 წლის 3-4 აპრილს, ხოლო თუ რატომ არ განხორციელდა პროექტი, მკითხველისთვის გასაგები უნდა იყოს. ეს იყო სსრ კავშირის დაშლის პერიოდი და სსრკ-ის ყველა რესპუბლიკის ნგრევის დასაწყისი. სამწუხაროდ, ამ ნანგრევებში მოყოლილმა საქართველომ და ქართველობამ, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებმა დიდი ზარალი განიცადა.

მარიკა გელაშვილი
(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზეთი ,,ბორჯომი“ №45,46, 47,48, 49, 50, 51 2024წ.

პოეზიის კუთხე

ლექსები გაგაცნობენ ავტორს...

მარინა მამულაშვილი რამდენიმე თვის წინ გავიცანი. პრინციპულმა ქალბატონმა ბოლო წლებია, რაც თბილისიდან ბორჯომის მუნიციპალიტეტში გადაწყვიტა საყვარელი საქმის გაგრძელება. ამჯერად, ბაკურიანის საჯარო სკოლაში აგრძელებს პედაგოგიურ მოღვაწეობას.

რომ გაიგო, გაზეთი „ბორჯომის“ რედაქციის თანამშრომელი ვიყავი. თავისი ლიტერატურულიჩანაწერები და ლექსები გამიზიარა. ვთხოვე, რომ თანხმობის შემთხვევაში მასზე სიამოვნებით დავწერდით. სტატიის მომზადება იუარა, თუმცა სიამოვნებით მოგვაწოდა ჩანაწერები და ლექსები, რომლებიც შეკითხვებზე მეტად გვაცნობს მის შინგან სამყაროს. ახლა თქვენც გიზიარებთ.

...
ერთ დღეს, რომ თმაზე
თეთრად დამათოვს...
თვალს დააკლდება ელვა...
ერთ დღესაც,
როცა ჩემს დაღლილ სხეულს
სხვის დასჭირდება შველა...
მოვკიდებ ხელს
ჩემს განვლილ დღეთა
წიგნად აკინძულ სევდას
...და გავუყვები იმ ლამაზ ბილიკს,
რომელიც მიმიყვანს ზეცას.
იქ მე დამხვდება ჩემი წარსულის
წიგნად შეკრული სევდა...
მომეკითხება ალბათ
წვრილ-წვრილად
ამბავი გარდასულ დღეთა!
...
ოჰ,
როგორ დამღალა ფიქრმა...
ოჰ,
როგორ დამღალა
სევდამ...
სხვისი დანგრეული
გზების...
ნელა შეკეთების
ტემპმა...
ოჰ,
როგორ დამღალა
ფიქრმა...
სხვისმა და
არა ჩემმა!
როგორ
იძალადოს
სხვაზე....
როგორ
მოერიოს ფლეგმას!
ღმერთო!
გადმომხედე ზეცით
ღმერთო!
ძალა მომეც
ერთობ...
რომ
მოვერიო თავს და...
ფიქრებს მოვერიო
ჩემსას!
30.11.24
...
ცხოვრების წლები
მირბიან, მიჰქრიან,
სულში მკვიდრდება სევდა...
მაგრამ რად გინდა,
გული არ ბერდება,
იქ სულ ხიბლია,
ბავშვობის,
გარდასულ დღეთა.
მოგონებების უძირო
მორევში ეშვები,
რომ რჩები მარტო...
იხსენებ ბავშვობის მეგობრებს,
კლასელებს....
ცელქობის სურვილი გახრჩობს.
გინდა, რომ ირბინო,
იყვირო, იყვირო...
ახალგაზრდა ვარ ისევ!
ასეა,
სიმართლე არავინ არ იცის,
ვიდრე არ გაირბენს წლები,
სახე ნაოჭდება,
თმები კი თეთრდება.
გული?!
ასაკს არ აღიარებს ისევ.

მოამზადა
იზა იანვარაშვილმა

სპექტაკლები პატარა მაყურებლებისთვის

ბორჯომის თოჯინების პროფესიულმა და კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულმა სახალხო თეატრებმა საახალწლო დღეებში ტრადიციულად საინტერესო სპექტაკლები შესთავაზეს პატარა მაყურებელს.

2 იანვრიდან 10 იანვრის ჩათვლით მაყურებელმა თოჯინების თეატრში ეკატერინე კუზანაშვილის ზღაპრის მიხედვით დადგმული სპექტაკლი **„როგორ გაჩნდა ხელოვნური ნაძვის ხე“** წარმოადგინა (რეჟისორი **შალვა გოგოლაძე**). თოჯინურ სპექტაკლში პატარებს მსახიობებმა ხელოვნური ნაძვის ხის შექმნის ისტორია ულამაზესი თოჯინების, საინტერესო დეკორაციებისა და საოცრად თბილი მუსიკის ფონზე უამბეს.

მსახიობებმა კულტურისა და ხელოვნების ცენტრში ვარსკვლავბიჭუნას ამბავი გააცოცხლეს. მისმა ამბავმა საოცრად გაახალისა პატარა მაყურებელი. პატარები სხვადასხვა სახალისო შეძახილებით ამხნევებდნენ სცენაზე მსახიობებს. როგორც ყველა ზღაპარში, ვარსკვლავბიჭუნას ამბავშიც, ბოროტებას სიკეთემ სძლია.

პროფესიონალ მსახიობებთან ერთად სცენაზე თეატრ-სტუდია ,,ვოდევილის“ პატარა მსახიობებიც მონაწილეობდნენ.

10 იანვარს, ბოლო საახალწლო წარმოდგენით, მსახიობები პატარა მაყურებლებს მომავალ ახალ წლამდე დაეშვიდობნენ.

მოამზადა **ნატო მელიქიძემ**

როგორია ჩინური ჰოროსკოპი 2025 წლისთვის: მწვანე ხის გველი და ზოდიაქოს ნიშნების პროგნოზი

2025 წლის 29 იანვარს დადგება მწვანე ხის გველის წელი, რომელიც 2026 წლის 16 თებერვლამდე გასტანს. ასტროლოგის პროგნოზის მიხედვით, ჩინური ჰოროსკოპის თითოეულ ნიშანს ეს წელი განსხვავებულ შესაძლებლობებსა და გამოწვევებს მოუტანს.

ვირთხა (1948, 1960, 1972, 1984, 1996, 2008, 2020)
ვირთხისთვის 2025 წელი მშვიდი და სტაბილური იქნება. შესაძლებელია, რომ ახალი მწვერვალები ვერ დაიპყროთ, მაგრამ რაც უკვე გაქვთ მიღწეული, ყველაფრის შენარჩუნებას შეძლებთ. ეკონომიურობა და გონივრული ხარჯვა ხელს შეუწყობს სირთულეების თავიდან აცილებას.

ხარი (1937, 1949, 1961, 1973, 1985, 1997, 2009, 2021)
ხარისთვის 2025 წელი ცვლილებებისა და მოულოდნელი წარმატებების დროა. პროფესიულ და პირად ცხოვრებაში ახალი პერსპექტივები გამოჩნდება, ხოლო მათ, ვინც პარტნიორს ეძებს, სერიოზული ურთიერთობების დაწყების შანსი ექნებათ.

ვეფხვი (1950, 1962, 1974, 1986, 1998, 2010, 2022)
ვეფხვებს ვარსკვლავები ურჩევენ, წელს ზედმეტი ენერგია არ დახარჯონ. ყურადღებით მიჰყევით ცხოვრების ბუნებრივ დინებას და ეცადეთ, ემოციებზე მეტად გონიერებას ენდოთ.

კურდღელი (კატა) (1951, 1963, 1975, 1987, 1999, 2011, 2023)
კურდღელს წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები ელის. ზოგი მოვლენა მოსალოდნელი იქნება, ზოგი კი სრულიად მოულოდნელი. განსაკუთრებით სასიამოვნო ცვლილებები პირად ცხოვრებაში გელით, რაც შეიძლება სიყვარულის თავგადასავალში გადაიზარდოს.

დრაკონი (1952, 1964, 1976, 1988, 2000, 2012)
დრაკონი, რომელიც ახლა „მფლობელის“ როლს ტოვებს, წარმატებებს ორივე სფეროში - კარიერასა და პირად ცხოვრებაში - განაგრძობს. ვარსკვლავები გირჩევენ, ბალანსი შეინარჩუნოთ, რათა ყველაფერი ჰარმონიულად განვითარდეს.

გველი (1953, 1965, 1977, 1989, 2001, 2013, 2025)
გველს, როგორც წლის მფლობელს, ვარსკვლავები ყველა სურვილის ასრულებას ჰპირდებიან. ეს წელი კარიერული ზრდისა და ფინანსური სტაბილურობისთვის ხელსაყრელია. შესაძლებელია ახალი სიყვარულიც გაჩნდეს, თუმცა ამისთვის ძველი ურთიერთობების დასრულებაა საჭირო.

ცხენი (1942, 1966, 1978, 1990, 2002, 2014)
ცხენი წარმატებას მხოლოდ საკუთარ ძალისხმევაზე დაყრდნობით მიაღწევს. თვითდაჯერებულობა და მტკიცე ნებიჯები საშუალებას მოგცემთ, როგორც კარიერაში, ისე პირად ცხოვრებაში საუკეთესო შედეგები მიიღოთ.

თხა (1955, 1967, 1979, 1991, 2003, 2015)
თხას წელს შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენის შანსი ექნება. ახალი გამოწვევების სწორად შერჩევა და პრიორიტეტების დასახვა წარმატების მთავარი გასაღები გახდება.

მაიმუნი (1956, 1968, 1980, 1992, 2004, 2016)
მაიმუნისთვის ეს წელი იდეალურია საკუთარი უნარების დემონსტრირებისთვის. საზოგადოებრივი გამოსვლები და კრეატიული იდეები წარმატებას მოგიტანთ. თუმცა, პირად ცხოვრებაში ცვლილებების წინ მნიშვნელოვანია, ყველა „საიდუმლო“ შეაფასოთ.

მამალი (1957, 1969, 1981, 1993, 2005, 2017)
მამალს სირთულეების დაძლევა აქტიურობითა და შრომისმოყვარეობით მოუწევს. რისკის გათვალისწინებული ნაბიჯებით მიღებული შედეგები ნამდვილად ამაყად გაგრძნობინებთ თავს.

ძაღლი (1958, 1970, 1982, 1994, 2006, 2018)
ძაღლისთვის კარიერული წინსვლა შეიძლება შეზღუდული იყოს, მაგრამ პროფესიული ავტორიტეტის გამყარება წლის მთავარი მიღწევა გახდება. პირად ცხოვრებაში სიყვარულის ახალი პერსპექტივები გაიხსნება.

ღორი (1959, 1971, 1983, 1995, 2007, 2019)
ღორს სერიოზული ცვლილებები ელის. ცხოვრების ყველა სფეროში ბალანსის შენარჩუნება მთავარია. ახალი რომანტიკული ურთიერთობები დიდ შრომას მოითხოვს, რათა სასურველი შედეგები მიიღოთ.

ხის გველის წელიწადი შვიდი ზოდიაქოს ნიშნისთვის გარდამტეხი იქნება

2024 წლის საუკეთესო მოსწავლე-სპორტსმენები

ჭადრაკი
თეა რუსიტაშვილი,
ბარბარე შონია;

მძლეოსნობა
ნიკოლოზ გელაშვილი,
გვანცა გოგოლაძე;

ძიუდო
გიორგი შალუტაშვილი,
ანასტასია შალუტაშვილი,
გიორგი სტეფნაძე.

კიკ-ბოქსინგი
დავით გულვერდაშვილი,
ალექსანდრე დვალიშვილი.

კრივი
დავით ხელაძე,
ლუკა დრიუვოვი,
ნიკოლოზ პაქსაშვილი.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა
ირაკლი სამსონიძე,
ბექა ჭკუასელიძე.

მკლავჭიდი
დავით მელიქიძე,
ლუკა კურტანიძე,
გოგა ბლიაძე,
ნიკოლოზ გიუაშვილი.

სამთო-სათხილამურო
ნინო გეორქოვი,
ანასტასია ვიბლიანი,
ნელი უსტიმენკო. ერთდრულად (საუკეთესო მკლავჭიდელი)

ბიატლონი
თემურ ბიჩინაშვილი,
ნინო ქარქოზაშვილი,
შიო ქუჩუკიანი.

ტრამპლინიდან ხტომა
ესმერალდა ალიევა.

კალათბურთი
ნიკოლოზ ქოქოშვილი (საქართველოს 16 წლამდელთა ნაკრების წევრი).

რაგბი
ნიკა გელაშვილი (საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრების წევრი).

ფეხბურთი
სასპორტო სკოლის 2014 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა გუნდი „თორი“ შიდა ქართლის ჩემპიონატის გამარჯვებულ „მეფე დავითის“ სახ. თასის მფლობელი. თ. კაკულიას სახ. საფეხბურთო ტურნირის გამარჯვებული ს/კ ,,დინამოს“ აკადემიის სამცხე-ჯავახეთის ფესტივალის გამარჯვებული.

მხიარული სტარტები
№3 საჯარო სკოლის გუნდი „მხიარული სტარტების“ საქართველოს სასკოლო ოლიმპიადის ფინალური ტურნირის გამარჯვებული.

ესპანური გამოცემლობა ქუმარიტაშვილის შესახებ წერს

„საბა ქუმარიტაშვილის ამაღელვებელი ისტორია, სპორტსმენის, რომელმაც თავისი ბიძაშვილის დაღუპვიდან 12 წლის შემდეგ ისტორია შექმნა“, - ამ სათაურით აქვეყნებს წერილს ცნობილი ესპანური გამოცემა.

-ეს სპორტსმენი მოციგავეების დინასტიის წარმომადგენელია, რომელიც ამ დისციპლინაში თავისი ბიძაშვილის, ნოდარ ქუმარიტაშვილის ოცნების ასახდენად ასპარეზობს. ნოდარი ვანკუვერი-2010-ისთვის ემზადებოდა, რომ ამ სახეობაში პირველი სპორტსმენი გამხდარიყო საკუთარი ქვეყნიდან, რომელიც ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მიიღებდა მონაწილეობას, - წერს „მარკა“. თუმცა ოცნების ასრულებას ხელი ტრაგიკულმა შემთხვევამ შეუშალა და ოლიმპიადის გახსნამდე ქართველი სპორტსმენი გამოიგლოვეს.

იმ დროს ნოდარის ბიძაშვილი საბა ბავშვი იყო, მაგრამ მან ოჯახური ტრადიცია გააგრძელა. 12 წლის შემდეგ, დაღუპული ბიძაშვილის სახელისთვის პატივის მისაგებად და მისი ოცნების გასაგრძელებლად, საბა ქუმარიტაშვილმა მონაწილეობა პეკინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მიიღო.”

საქართველოს თასის გათამაშება მესტიაში

მესტიაში დასრულდა 2025 წლის საქართველოს თასის გათამაშების პირველი ეტაპი სამთო-სათხილამურო რეგიონალური ეტაპი სპორტში. შეჯიბრი ზურულდის ტრასაზე სლალომის და გიგანტური სლალომის სახეობებში გაიმართა. ტურნირში თბილისის, გუდაურის, ბაკურიანის, მესტიის, აჭარისა და ,,სკი პაუსის სპორტული სკოლის გუნდის წევრებმა მიიღეს მონაწილეობა. სპორტსმენები სამ ასაკობრივ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი..

2011-2012 წელს დაბადებულთა შორის ბაკურიანელთაგან პრიზიორი გახდნენ: **ალექსანდრე ნასყიდაშვილი - სლალომი პირველი ადგილი, გიგანტური სლალომი მეორე ადგილი.**

2009-2010 წელს დაბადებულთა შორის **ალექსანდრე მურადიანი** გიგანტური სლალომი - პირველი ადგილი;

ნინო გეორქოპი - მეორე ადგილი ორივე საშეჯიბრო დღეს (სლალომი, გიგანტური სლალომი);

2008 წელს დაბადებულებსა და უფროსი ასაკი: ანასტასია ვიბლიანი - მესამე ადგილი ორივე საშეჯიბრო დღეს (სლალომი, გიგანტური სლალომი);

ნელი უსტიმენკო - პირველი ადგილი ორივე საშეჯიბრო დღეს (სლალომი, გიგანტური სლალომი)

შემდეგი ეტაპი იანვრის ბოლოს ბაკურიანშია დაგეგმილი.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს,
რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW. colorgroup.ge
borjomipress9@gmail.com
კორექტორი: ნანა კევლიშვილი
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე